

*Monakhos* (Greek: μοναχός 'solitary') is the title of the upcoming solo exhibition of Ser Serpas at LC Queisser. Ser Serpas (b. 1995, based in Paris), as a multimedia artist, assembles installations utilizing sculpture, painting, drawing, and poetry. Concerned with the physical matter of the body and its ephemeral notions, she subjects them to sculptural altering and vice-versa, channeling the sense of body when dealing with the sculpture. Serpas' practice transcends various mediums while maintaining the axial awareness of physicality, fragmentation, artificial assemblance, and the artist's autonomy in alteration. Meanwhile, she's been continually moving between multiple cities, from Zurich to Los Angeles, Tbilisi, and Paris, in the chronic state of motion and relocation, the principal condition that prompted her poetry book *Guesthouse*, and is furthermore emphasized in her use of materials in large-scale sculptures, always collected off the streets of a particular location. *Monakhos* becomes a contrary meditation of artistic solitude and unprovoked stillness. Featured in the show are her generously textured oil paintings on unstretched canvas, produced in voluntary isolation in the studio, while she religiously listened to podcasts and audiobooks on life in the ancient world and the Hebrew bible. Conventional to her previous painting series', the faceless body motif is maintained in her new works, only here do the reference images become anonymous, but public before & after images of plastic surgery patients found on the internet constitute the majority of them, rather than the private photographs from her intimate interactions. The fragility of a passing moment and its unretrievable qualities are brought to the foreground in the portrayal of the indistinct body parts in the medial phase of the sculpting process. The tender aspect of exposing a subject to a permanent change becomes evident in the specific intermediary moment in time, space and memory. Similar to her sculptures, where 'annexed' constituents never become indelibly conjoined, the condition of painted bodies remains fluid and frictionless. Carnal paintings, oversaturated in color, awkwardly position the soft-modeled viscous bodies in front of a somewhat sterile background in a statuary manner. Depictions of partly-smudged, unidentifiable figures with indistinctive features become almost heroic portraits radiating with stoic relief.

- Gvantsa Jgushia

Ser Serpas' recent solo exhibitions include *HEAD BANGER BOOGIE*, Galerie Barbara Weiss, Berlin (2022); Ser Serpas, Balice Hertling, St Martin + Gravilliers, Paris (2021); Ser Serpas and Elene Chantladze, Conceptual Fine Arts, Milan (2021); *Guesthouse*, LC Queisser, Tbilisi (2021); *Two Take Red Series*, Karma International, Zurich (2021); *Models*, Karma International, Zurich (2020); *Against Attachment*, Ludlow 38, New York (2019); *what we need is another body*, Truth and Consequences, Geneva (2019) *Stars are Blind*, (with Sitara Abuzar Ghaznawi), LC Queisser, Tbilisi (2019). Her work has been included in group exhibitions at Centre d'Art Contemporain Genève, Genève (2022); Maxwell Graham / Essex Street, New York (2022); Fitzpatrick Gallery, Paris (2021); Progetto, Lecce (2021); Oxygen Biennial, Tbilisi (2021); Progetto, Lecce (2021); Jenny's, New York (2021); Palazzo Tamborino Cezzi, Lecce (2021); CUADRO22, Chur (2020); Kevin Space, Vienna (2020); Karma International, Zurich (2020); Arcadia Missa, London (2020); Bourse de Commerce, Paris (2021); Hammer Museum, Los Angeles (2020); Punta della Dogana, Venice (2020); Galerie Barbara Weiss, Berlin (2019).

“Monakhos” (ბერძნ. μοναχός "განმარტოებული") არის სერ სერპას პერსონალური გამოფენის სათაური ელ ცე კვიასარში. სერ სერპას (დ. 1995, დაფუძნებული პარიზში), მულტიმედიური ხელოვანია, რომლის ინსტალაციებიც შედგება ქანდაკების, ფერწერის, ნახატისა და პოეზიისგან. სხეულის ფიზიკური მატერიალუ და მისი ეფემერული ცნებებით დაინტერესებული, ის სხეულებს სკულპტურულ ცვლილებებს აქვემდებარებს და პირიქით, ქანდაკებაში სხეულებრივი გრძობითი ნიშნები შემოაქვს. სერპას პრაქტიკა სცდება ამა თუ იმ მედიუმს, თუმცა ყოველ მათგანში შენარჩუნებულია ცოდნა ფიზიკურობის, ფრაგმენტაციის, ხელოვნური მონყობის და ცვლილებაში არტისტის ავტონომიის შესახებ. ის განუწყვეტლივ იცვლის ადგილმდებარეობას მრავალ ქალაქს შორის, ციურხი, ლოს-ანჯელესი, თბილისი და პარიზი, მოძრაობისა და გადაადგილების ამ ქრონიკულ პროცესში, ეს ხდება ძირითადი მდგომარეობა, რამაც შთააგონა მისი პოეზიის კრებული “სასტუმრო სახლი” და მეტიც, მის მასშტაბურ ქანდაკებებში გამოყენებულ მასალებშიც ვლინდება, რომლებიც ყოველთვის აგროვებულია კონკრეტული ლოკაციის ქუჩებიდან. “Monakhos” იქცევა არტისტული განმარტოებისა და არსაიდან პროვოცირებული უძრაობის ჯიუტ მედიტაციად. გამოფენაზე წარმოდგენილია მისი მსუყე მონასმით შესრულებული ზეთის ფერწერები გადაუჭიმავ ტილოზე. ისინი შეიქმნა სტუდიაში ნებაყოფლობითი იზოლაციის განმავლობაში, როდესაც ის რელიგიურად უსმენდა პოდკასტებსა და აუდიო ნიგნებს ძველ სამყაროში ცხოვრებისა და ებრაული ბიბლიის შესახებ. წინა ფერწერული სერიისთვის სახასიათო, უსახო სხეულის მოტივი შენარჩუნებულია მის ახალ ნამუშევრებში. თუმცა აქ ის ინტიმური ურთიერთობიდან მოპოვებული პირადი ფოტოების ნაცვლად, ძირითადად იყენებს ანონიმურ, მაგრამ საჯარო, ინტერნეტში მოძიებულ პლასტიკური ქირურგიის პაციენტების ‘ოპერაციამდელ და შემდგომ’ სანიმუშო სურათებს. განვლილი მომენტის სიმყიფე და მისი ალუდგენელი ხასიათი გამოამკარავებულია გამოქანდაკების პროცესის გარდამავალ ფაზაში ასახულ ამოუცნობ სხეულის ნაწილებში. სუბიექტში პერმანენტული ცვლილების შეტანის სიფაქიზე ნათელი ხდება დროის, სივრცისა და მეხსიერების კონკრეტულ შუალედურ მომენტში. მისი ქანდაკებების მსგავსად, სადაც ‘ანექსირებული’ შემადგენელი ნაწილები არასოდეს არის სამუდამოდ დაფიქსირებული, ფერწერებში წარმოდგენილი სხეულებიც რჩება დენადი და დაუძაბავი. გადანათებულ ფერებში შესრულებული ხორციელი ნახატები უხერხულად და სკულპტურული მანერით ათავსებენ რბილად მოდელირებულ ბლანტ სხეულებს თითქმის სტერილურ ფონზე. ნაწილობრივ გაზელილი, გაურკვეველი ნიშნების მქონე არაიდენტიფიცირებადი ფიგურები თითქოს ხდებიან გმირული პორტრეტები, რომლებიც სტოიკურ სიმშვიდეს ასხივებენ.

- გვანცა ჯგუშია

სერ სერპასი (დ. 1995, ლოს-ანჯელესი, კალიფორნია, აშშ) მუშაობს და ცხოვრობს პარიზში, საფრანგეთში. მისი ბოლო სოლო გამოფენები მოიცავს: 'HEAD BANGER BOOGIE', Galerie Barbara Weiss, ბერლინი (2022); Ser Serpas, Balice Hertling, St Martin + Graviilliers, Paris (2021); სერ სერპას და ელენე ჩანტლაძე, Conceptual Fine Arts, მილანი (2021); 'Guesthouse', LC Queisser, თბილისი (2021); 'Two Take Red Series', Karma International, ციურხი (2021); 'Models', Karma International, ციურხი (2021); 'Against Attachment', Ludlow 38, New York (2019); 'what we need is another body', Truth and Consequences, უენევა (2019); 'Stars are Blind', (სიტარა აბუზარ ლაზნავისთან ერთად), LC Queisser, თბილისი (2019). მისი ნამუშევრები შესულია ჯგუფურ გამოფენებში Centre d'Art Contemporain Genève, Genève (2022); Maxwell Graham / Essex Street, ნიუ-იორკი (2022); Fitzpatrick Gallery, პარიზი (2021); Progetto, Lecce (2021); Oxygen Biennial, თბილისი (2021); Progetto, Lecce (2021); Jenny's, ნიუ-იორკი (2021); Palazzo Tamborino Cezzi, Lecce (2021); CUADRO22, Chur (2020); Kevin Space, ვენა (2020); Karma International, ციურხი (2020); Arcadia Missa, ლონდონი (2020); Hammer Museum, ლოს ანჯელესი (2020); Punta della Dogana, ვენეცია (2020); Galerie Barbara Weiss (2019).